



ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 16 მაისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი რამდენიმე ცვლილებას რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 01 ივნისიდან, გარდა პირველი მუხლისა, რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 01 ივლისიდან.

ცვლილება შეეხო საგადასახადო კოდექსის 185-ე და 188-ე მუხლებს, რომელებიც ადგენს აქციზით დასაბეგრ ოპერაციას, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხას და ასევე აქციზის განაკვეთებს. შეიცვალა ზოგიერთ საქონელზე განსაზღვრული აქციზის განაკვეთი. დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5800018?publication=0>

ასევე, საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2023 წლის 18 მაისს შევიდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ ცვლილება შეეხო სსკ-ის 309-ე მუხლს, რომელსაც დაემატა 135-140-ე ნაწილები, რომლითაც უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე გავრცელდება გარკვეული საგადასახადო შეღავათები. შეღავათები ასევე შეეხო პირის მიერ უეფასთვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ან/და დანიშნული პირისთვის იმ საქონლის მიწოდებას ან/და მომსახურების გაწევას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5804292?publication=0>

ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 მაისის №181 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 15 ივნისიდან. შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს ხე-ტყის აღრიცხვის პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე იცვლება ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესი და განისაზღვრება ხე-ტყის საწყისი ნაშთების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ვადები. დეტალური ინფორმაციის ნახვა, ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული ხე-ტყის აღრიცხვის სატესტო მოდულის შესახებ ვიდეო-ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულებზე:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5813675?publication=0>

<https://www.youtube.com/watch?v=0GX4Ca4MSY8&t=6s>

ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 30 მაისის №183 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული ცვლილება ეხება არააქციზური საქონლის მარკირების წესს, რომლის თანახმადაც სავალდებულო მარკირებას დაექვემდებარება ნებისმიერი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული არაალკოჰოლური სასმელები, გარდა სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების გადასაზიდი ჭურჭლისა და იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე არაალკოჰოლური სასმელისა. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5815344?publication=0>

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში

2023 წლის 16 მაისს ცვლილებები შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ცვლილებებს საფუძვლად დაედო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მე-60 პლენარულ სხდომაზე დამტკიცებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან საქართველოს შესაბამისობის მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული საქართველოში მოქმედი კანონის ცალკეული დებულებები. აღნიშნული ანგარიში შეეხებოდა:

- კანონში არსებულ ფულის გათეთრების ტერმინს;
- იმას, რომ კანონი არ ითვალისწინებდა ანგარიშვალდებული პირის მიერ განხორციელებული რისკების შეფასების აღრიცხვის შესახებ დანაწესს, ასევე ვალდებულებას რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის შედეგები ასახული იყოს ანგარიშვალდებული პირის მიერ მისი რისკების შეფასებაშიც;
- კანონის მოთხოვნებისაგან განთავისუფლების საფუძვლების მკაცრად ლიმიტირების აუცილებლობას;
- ანგარიშვალდებული პირებისათვის კანონისმიერი ჩანაწერის შექმნის აუცილებლობას, პრევენციული ღონისძიებების გარკვეულ შემთხვევაში შეჩერების შესახებ;
- პოლიტიკურად აქტიური პირის ოჯახის წევრის ტერმინის სწორად განმარტებას;
- ინფორმაციის (დოკუმენტის) შენახვის ფორმას, რაც შესაძლებელს გახდიდა მისი კომპეტენტური ორგანოებისათვის დაუყოვნებლივ წარდგენას;
- ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილების ნათლად განსაზღვრას;

ცვლილებით ფულის გათეთრების ტერმინს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლთან ერთად, 186 (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება) და 194¹ (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულები დაემატა. კანონში ასევე გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც საშუალებას მისცემს ანგარიშვალდებულ პირს შეაჩეროს პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პროცესი და აცნობოს ამის შესახებ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, თუკი ანგარიშვალდებული პირის მიერ სათანადო ფორმით დოკუმენტირებული ანალიზის საფუძველზე, არსებობს ეჭვი, რომ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება კლიენტისთვის ცხადყოფს რომ ხორციელდება გარიგების შესწავლის ანდა საეჭვო გარიგების გამოვლენის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები.

ცვლილებით პოლიტიკურად აქტიური პირის ოჯახის წევრს ემატება მეუღლესთან გათანაბრებული პირის ცნება. ასევე პოლიტიკურად აქტიურ პირთან კავშირში მყოფი ფიზიკური პირის განმარტებას ემატება სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში (მაგალითად, იგივე პოლიტიკური პარტიის მნიშვნელოვანი წევრები) მყოფი ფიზიკური პირიც.

კანონში შესული ცვლილებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ცვლილება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში

შრომითი ემიგრაციის და შრომითი იმიგრაციის სფეროში სხვადასხვა გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 17 მაისს ცვლილებები განახორციელა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა შრომითი ემიგრაციის სფეროში მოქმედი შუამავალი ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის მარეგულირებელი ქმედითი მექანიზმების არარსებობა. ცვლილებების ერთ-ერთ მიზანს შუამავალი პირების საქმიანობის რეგულირების და მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვა წარმოადგენს, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, შრომითი ემიგრანტების უფლებების დაცვას, მეორე მხრივ კი, წაახალისებს ამ სფეროში კეთილსინდისიერად მომუშავე, კომპეტენტურ და სანდო დასაქმების სააგენტოებს.

სწორედ შრომითი მიგრაციის სფეროში დასაქმებული საშუამავლო კომპანიების ანგარიშვალდებულების გაზრდის და მათი ეფექტურად რეგულირების მიზნით, ასეთი საქმიანობის განმახორციელებელი პირები დაექვემდებარებიან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციასა და სავალდებულო სერტიფიცირებას.

ასევე ცვლილებების მიღების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა შრომითი მიგრაციის სფეროში მომუშავე საშუამავლო კომპანიების მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ეფექტური მონიტორინგის და აღსრულების მექანიზმები.

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებით:

- ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის დასაქმების შესახებ მონაცემები დაექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილ ონლაინ-სისტემაში და ამ მონაცემების ბაზაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის (D1) გაცემას. აღნიშნულზე მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა დაევალას სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს;

- ადმინისტრაციული სახდელისგან - ჯარიმისგან გათავისუფლდნენ ის საშუამავლო კომპანიები, რომლებმაც „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2023 წლის 1 სექტემბრამდე;
- კანონს დაემატა დებულებები, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიკატის გაუქმების და საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვის საფუძვლებს;
- კანონს დაემატა თავი III¹ რომელიც არეგულირებს შრომითი იმიგრანტის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობის და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის პირობებს;
- განისაზღვრა ადგილობრივი დამსაქმებლის ვალდებულება, 2023 წლის 1 ნოემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია მასთან 2023 წლის 1 სექტემბრამდე დასაქმებული შრომითი იმიგრანტის თაობაზე.

ცვლილებების ძირითადი ტექსტი ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.